პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 59 (1073) | ხუთშაბათი, 16 მაისი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 60 კაპ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1957 წლის გამოშვება) გამოშვების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. გამოშვებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1957 წლის გამოშვება) 12 მილიარდი მანეთი თანხისა 5 წლის ვადით.

2. სესხის ობლიგაციები და მათი მოგებანი განთავისუფლდეს სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებითა და გამოსაღებებით დაბეგვრისაგან.

3. დამტკიცდეს პირობები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1957 წლის გამოშვება) გამოშვებისა, რომლებიც წარმოადგინა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ.

სოციალისტური სამშობლოს, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ

გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ ჩვენი თვალუწვდენი სამშობლო. რაც დრო გადის მით უფრო მძლავრი ხდება მისი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა. დიადი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ კიდევ უფრო შეძლებულად იცხოვრონ სოციალისტური ქვეყნის მშრომელებმა, უფრო ნათელი და საამური იყოს მათი მომავალი. პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის საპასუხოდ ჩვენი ხალხი ენერგიის დაუზოგავად შრომობს, აღწევს მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს, ქმნის საკოლმეურნეო დოვლათს.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ — შემცირდა სამუშაო საათები, მილიონობით ხანდაზმული მუშა, მოსამსახურე, კოლმეურნე გავიდა პენსიაში, სახელმწიფომ უზრუნველყო მათი ცხოვრება.

სისტემატურად ზრუნავს რა საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების, ჩვენი ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის, საბჭოთა მთავრობამ დაადგინა გამოუშვას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სახელმწიფო სესხი (1957 წლის გამოშვება).

როგორც კი ახალი სესხის გამოშვების ცნობა გადმოსცეს რადიოთი, ჩვენი ქვეყნის ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში შედგა ხალხმრავალი მიტინგები. სიტყვებში გამოსული ამხანაგები ერთხმად იწონებენ მთავრობის გადაწყვეტილებას. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი აღმავლობით და ამასთან ორგანიზებულად შეუდგნენ ახალ სესხზე ხელმოწერას, რამაც კიდევ ერთხელ გამოავლინა ჩვენი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმი. რედაქციამ სოჭიდან მიიღო სახელმოხვეჭილი სპორტსმენების ვ. ბალავაძის, მ. ცალქალამანიძის, გ. სხირტლაძის დეპეშა: „ახალი სახელმწიფო სესხი, — ნათქვამია დეპეშაში, — კიდევ უფრო აამაღლებს ჩვენი ხალხის კეთილდღეობას, საშუალებას მოგვცემს კვლავაც მძლავრად განვითარდეს ფიზკულტურა და სპორტი, მეტი წარმატებები მოვიპოვოთ საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებში".

— ერთსულოვნად ვაწერთ ხელს ახალ სესხზე, ვიცით, რომ ჩვენი დანაზოგი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობას ხმარდება, — განაცხადა სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა მ. თიკანაძემ.

საბჭოთა სესხი — ჭეშმარიტად სახალხო სესხია, მშვიდობიანი მშენებლობის სესხია, რომელიც გამოყენებულია კომუნისტური მშენებლობის დიადი მიზნებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის.

ამიტომაა, რომ სახელმწიფო სესხი ჩვენს ქვეყანაში პოპულარობით სარგებლობს და დიდი წარმატებით ვრცელდება. ჩვენმა ხალხმა იცის, რომ ახალი სესხი — ახალი ფაბრიკა-ქარხნები, ელექტროსადგურები, საცხოვრებელი სახლები, სტადიონები, ჩვენი ბედნიერი აწმყო და უკეთესი მომავალია.

ჩვენი ქვეყანა განუხრელად ანხორციელებს სამშვიდობო პოლიტიკას, იბრძვის სხვადასხვა ქვეყნებს შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრული თანამშრომლობისათვის. ახლახან დამთავრებულმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო მნიშვნელოვანი ღონისძიებები მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ და ამასთან მიიღო მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისა და დიდი ბრიტანეთის პარლამენტისადმი ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ. საბჭოთა კავშირი მზადაა შეწყვიტოს ატომისა და წყალბადის ბომბების გამოცდა.

ახალ სახელმწიფო სესხზე ერთსულოვანი ხელმოწერით საბჭოთა ხალხმა ერთხელ კიდევ გამოავლინა თავისი უსაზღვრო სიყვარული, უსაზღვრო ერთგულება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რათა ჩვენი სამშობლო უფრო შეძლებული, მძლავრი და ლამაზი გახდეს.



III საერთაშორისო სპორტული თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა ჯილდოები გამარჯვებულ გუნდებისათვის. ქვემოთ ვათავსებთ ამ ჯილდოების სურათებს.

←

ქალ და ვაჟ კალათბურთელთა ტურნირში გამარჯვებულთათვის.

→

ტანვარჯიშსა და სროლაში გამარჯვებულ გუნდებისათვის.

—

წყალბურთში, რეგბიში, ფეხბურთსა და ბალახის ჰოკეიში გამარჯვებისათვის.

„ვაშაში" ჩამოვა მოსკოვში

უნგრეთის მიმდინარე წლის საფეხბურთო ჩემპიონატში თითქმის ყველა უძლიერესი გუნდი მონაწილეობს. შეჯიბრებას ლიდერობს ბუდაპეშტის „ვაშაში". მას კვალდაკვალ მიჰყვებიან „ფერენცვაროშის" და მტკ-ს კლუბის კოლექტივები. „ჰონვედის" ფეხბურთელები ახლა მეათე ადგილზე იმყოფებიან.

ივნისის დამდეგს მოსკოვში ჩამოვა „ვაშაში", რომელიც 6 ივნისს შეხვდება დედაქალაქის „ტორპედოს". ოთხი დღის შემდეგ კი, უკვე ბუდაპეშტში შედგება ამავე გუნდების მეორე მატჩი.

მოწვევა მიიღეს

იუგოსლავიის მოჭადრაკეები, საბჭოთა კავშირის გროსმაისტერების შემდეგ, უძლიერესნი არიან. მათ ეს აღიარება დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებზე თვალსაჩინო წარმატებებით დაიმსახურეს. მსოფლიოს XI და XII გუნდურ პირველობებში იუგოსლავიის ნაკრებმა II ადგილი დაიკავა.

ამიტომ გასულ წელს იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეების შეხვედრა, რომელიც ბელგრადში მოეწყო, დიდ სპორტულ ინტერესს იწვევდა. საბჭოთა გროსმაისტერებმა ეს დაძაბული მატჩი მოიგეს ანგარიშით 38 : 26.

ამას წინათ საბჭოთა საჭადრაკო სექციამ იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციას საპასუხო ვიზიტის მოწვევა გაუგზავნა. იუგოსლავებმა მიიღეს მოწვევა და ზაფხულში ჩამოვლენ მოსკოვში.

იუგოსლავიის გუნდი, რომელიც მოსკოვში ჩამოვა, ძირითადად შედგება მიმდინარე წლის ჩემპიონატის მიხედვით. როგორც ცნობილია, ამ ტურნირში, რომელიც სომბორში ჩატარდა, მონაწილეობდა 22 მოჭადრაკე. ჩემპიონის სახელი გროსმაისტერ ბ. ივკოვთან „დუელში" მეექვსედ დაისაკუთრა გროსმაისტერმა ს. გლიგორიჩმა, რომელმაც 15,5 ქულა დააგროვა. ჩემპიონს 1,5 ქულით ჩამორჩნენ გროსმაისტერები ბ. ივკოვი, ა. ტრიფუნოვიჩი და საერთაშორისო ოსტატი ა. კარაკლაიჩი, რომლებმაც გაიყვეს II–IV ადგილები. მათ გარდა გუნდში შევლენ გროსმაისტერები ა. მატანოვიჩი, ა. პირცი, ოსტატები ი. უდოვჩიჩი, ს. ვუკოვიჩი, ი. მილიჩი, დ ჯურაშევიჩი და სხვები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩემპიონატის ერთ დასვენების დღეს ტურნირის მონაწილენი განაგრძობდნენ ბრძოლას... სომბორის სტადიონზე. აქ შედგა „ჩემპიონატის ნაკრებისა", რომელშიც შედიოდნენ ცნობილი გროსმაისტერები და ოსტატები და სომბორის გარნიზონის სპორტსმენთა საფეხბურთო მატჩი. მწვავე ბრძოლა ყაიმით (3 : 3) დამთავრდა. მოჭადრაკეების მხრიდან მოწინაღმდეგის კარში 2 ბურთი გაიტანა გროსმაისტერმა ს. გლიგორიჩმა.

საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდები შედგება 8 ძირითადი და 2 სათადარიგო მოთამაშისაგან.

ჰოკეისტებისათვის

ჰოკეისტებს ისე, როგორც სპორტის სხვა სახეობების ოსტატებს, სრულწლიური ვარჯიში სჭირდებათ, ამიტომ სპორტული ნაგებობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი ამუშავებს ზაფხულის დახურული საციგუროს ტიპიურ პროექტს, რომელიც მალე მზად იქნება.

ზაფხულის დახურული საციგურო ხელს შეუწყობს ჰოკეისტებს ფიგურისტებსა და მოციგურეთა სრულწლიურ წვრთნას, აამაღლებს მათ სპორტულ ტექნიკას.

ტრადიციული ამანათრბენი

ლენინგრადში მოეწყო ტრადიციული ვარსკვლავისებური ამანათრბენი. ქალაქის სპორტსმენები ერთმანეთს უკვე მე-12-ჯერ ეჯიბრებიან ლენინგრადის ქუჩებსა და პროსპექტებზე გამავალ იმ ოთხ მარშრუტზე, რომლებითაც 1945 წელს საბჭოთა არმიის მებრძოლები გამარჯვებით ბრუნდებოდნენ.

ფინიშთან პირველი მივიდა ფრუნზეს რაიონის მეორე სპორტული კოლექტივის წარმომადგენელი რ. კალმი. გამარჯვებულის გუნდმა საუკეთესო დრო აჩვენა — 8,5 კილომეტრი დაფარა 21 წუთსა და 26,4 წამში.

საწარმოო კოლექტივებს შორის გამარჯვებული გამოვიდნენ ქარხანა „სვეტლანას" სპორტსმენები.



მშვიდობის ველორბოლა

ყველა ეტაპებთან შედარებით მეცხრე — გორლიც-ვროცლავის ეტაპი ყველაზე საინტერესო გამოდგა, ამასთან მან გამარჯვება მოუტანა საბჭოთა სპორტსმენ კაპიტონოვს, რბოლა მეტად მაღალ ტემპში დაიწყო. უეცრად წინ გაიჭრნენ შვედი სპორტსმენები იგრენი და ანელი, მაგრამ 75-ე კილომეტრზე მათ ველომრბოლელთა მთელი ჯგუფი წამოეწია. აქედან დაიწყო ყველაზე საინტერესო სანახაობა. საბჭოთა სპორტსმენმა კაპიტონოვმა იშვიათი სისწრაფე განავითარა და კარგა მოზრდილი მანძილით უკან ჩამოიტოვა ყველა მონაწილე, მას კვალდაკვალ მიჰყვებოდა დანიელი პედერსენი და ქრისტოვი. მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერ შეინარჩუნა სისწრაფე და საგრძნობლად ჩამორჩა საბჭოთა სპორტსმენს, რომლის გადასწრებას უკვე „ამზადებდნენ" ინგლისელი ბრიტენი, გერმანელი შტოლპერი და რუმინელი დუმიტრესკუ. ფინიშთან პირველი იყო ინგლისელი.

მეათე ეტაპზე ძირითად ჯგუფში ქრისტოვი, კაპიტონოვი, ვერშინინი და სხვ. იყვნენ. მოულოდნელად კაპიტონოვს მანქანა დაუზიანდა, ვიდრე იგი ველოსიპედს გამოცვლიდა, ქრისტოვმა გადაასწრო ყველას და „გაუჩინარდა". ამ ეტაპზე პირველი იყო ბელგიელი ბუტზონი. ლიდერის მაისური კვლავ ქრისტოვს გადაეცა.

• • •

სურათზე: მე-6 ეტაპის სტარტი.

შეასრულეს საფესტივალო ნორმები

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მძლეოსანთა მატჩის შედეგები

◆

კარგ ტრადიციად იქცა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მძლეოსანთა შეჯიბრება. უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ მეგობრულ შეხვედრებში წარმატებას აღწევენ საქართველოს სპორტსმენები. ასე იყო წელსაც, ბაქოში გამართულ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მძლეოსანთა ტრადიციულ მატჩზე. მაგრამ გამარჯვება, რაც მოიპოვეს ჩვენმა მძლეოსნებმა, მიღწეულ იქნა საკმაოდ დაძაბულ ბრძოლებში. საკმარისია ითქვას, რომ პირველი დღის შეჯიბრების შემდეგ წინ იყო აზერბაიჯანის გუნდი. მას საქართველოს კოლექტივი 15 ქულით ჩამორჩებოდა. საერთოდ, ბრძოლა პირველი ადგილისათვის როგორც გუნდურ ისე პირად ჩათვლაში, უმთავრესად საქართველოსა და აზერბაიჯანის მძლეოსნებს შორის იყო გამართული.

...სტარტი მიეცა 20 კილომეტრზე სპორტული სიარულის მონაწილეებს. არავის ეპარებოდა ეჭვი სომხეთის წარმომადგენლების გამარჯვებაში, რადგან მათ ამ სახეობაში ჰყავდათ ორი ოსტატი, მაგრამ სტარტზე გამოვიდა მხოლოდ ერთი მათგანი — ვ. არზუმანიანი. საქართველოს გუნდიდან სიარულში მონაწილეობდა ორი სპორტსმენი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ა. მჭედლიშვილი და ფოთელი ა. შჩერბინა. რამოდენიმე წრე სიარულს ლიდერობდა ფოთელი, მაგრამ შემდეგ მას დაეწია არზუმანიანი, რომელიც შეჯიბრებას ჩაუდგა სათავეში. სპორტსმენები ასეთი თანმიმდევრობით ამთავრებენ დისტანციის მეტ ნაწილს. შჩერბინა იღებს გაფრთხილებას სიარულის წესების დარღვევისათვის. ამის გამო იგი ფრთხილობს, მაგრამ მოწინააღმდეგეს მაინც არ უშვებს წინ. ფინიშამდე 300 მეტრი იყო დარჩენილი, როდესაც შჩერბინამ დააპირა ძლიერი ბიძგით წინ გავარდნა, მაგრამ კვლავ დაარღვია წესი და მსაჯთა კოლეგიამ ამის გამო მოხსნა იგი დისტანციიდან. სამწუხარო ფაქტია. სპორტსმენმა გაიარა 19 კილომეტრი და 800 მეტრი და ფინიშამდე 200 მეტრით ადრე მოიხსნა. ნიჭიერმა მძლეოსანმა შემდგომში უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სიარულის ტექნიკას, რათა არ განმეორდეს მსგავსი შემთხვევა.

სპრინტერულ რბენაში 100 მეტრზე ვაჟთა შორის ბრძოლა გაიმართა აზერბაიჯანელ ი. კონოვალოვსა და თბილისელ ლ. ანთაძეს შორის. პირველი ადგილი მოიგო ბაქოელმა შედეგით 10,6. ანთაძე მას ჩამორჩა 0,1 წამით. კონოვალოვის გამარჯვებითვე აღინიშნა რბენა 200 მეტრზე — 21,5. ქალთა შორის 100 მეტრზე რბენაში უძლიერესი იყო ბაქოელი შ. მანგუტოვა — 12,3. მას მკერდით ჩამორჩა თბილისელი ა. ოვივიანი. სამაგიეროდ ამ უკანასკნელმა რევანში აიღო 200 მეტრზე რბენაში, გაუსწრო მანგუტოვას 0,1 წამით და აჩვენა 25,3.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა 800 მეტრზე რბენასა და 400 მეტრზე თარჯრბენში თბილისელმა ა. კრივოშეევმა. 800-მეტრიან დისტანციაზე პირველობისათვის ბრძოლა ძირითადად გაიმართა ა. კრივოშეევსა და მის თანაგუნდელ პ. კუდრიავცევს შორის. მთელ მანძილზე წინ იყო კუდრიავცევი, მაგრამ ფინიშამდე 50 მეტრით ადრე მას გაუსწრო კრივოშეევმა და დაამთავრა რბენა შედეგით — 1.54,1. კრივოშეევმა მოიგო აგრეთვე თარჯრბენი 400 მეტრზე — 56,3. წარმატება ხვდა წილად ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს ბათუმელ ლ. გურგენიძეს სიგრძეზე ხტომაში. თითქმის ყველა მისი ცდა 7 მეტრზე უფრო შორს იყო, ხოლო ერთ-ერთ უკანასკნელთაგანში მან დაძლია 7 მეტრი და 34 სანტიმეტრი. გურგენიძემ დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი და ამით შეასრულა ფესტივალში მონაწილეობისათვის საჭირო ნორმატივი. მძლეოსნობის ამ სახეობაში მეორე ადგილი დაიკავა გ. გვინჩიძემ 6 მ 99 სმ. ფინალური გარბენი 110 მეტრზე თარჯებით მოიგო გ. ლექავამ შედეგით — 15,0 მეორე ადგილისათვის ბრძოლა გაიმართა მ. ტულუშსა და აზერბაიჯანელ შმულინს შორის. მსაჯთა კოლეგიამ მეორე-მესამე ადგილი ორივე სპორტსმენს მიუსაჯა, რადგან მათ აღმოაჩნდათ ერთნაირი შედეგი — 15,1.

ახალი რესპუბლიკური რეკორდით აღინიშნა თბილისელ ო. ხოლოდოკის გამოსვლა ხუთჭიდში. მისი შედეგია 2.834 ქულა.

წარუმატებლად გამოვიდა ბირთვის კვრაში ახალგაზრდა მძლეოსანი ლ. სესაძე. მას წილად ხვდა მხოლოდ მესამე ადგილი შედეგით 12 მ. აქ გაიმარჯვა აზერბაიჯანელმა რ. კუქელმა 12 მ. 62 სმ. სამაგიეროდ კარგად გამოვიდა სესაძე ბადროს ტყორცნაში. მან დაიკავა პირველი ადგილი შედეგით 47 მ 20 სმ. და შეასრულა ფესტივალში მონაწილეობისათვის საჭირო ნორმატივი. შესაძლებლობაზე გაცილებით უფრო სუსტად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის თარჯმრბენი ქალები 80 მეტრზე. ტრავმის გამო მათ მეორეთანრიგოსნის ნორმატივიც კი ვერ შეასრულეს. პირველი ადგილი მძლეოსნობის ამ სახეობაში დაიკავა აზერბაიჯანელმა ლ. კარკუშინამ.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ საქართველოს მძლეოსნები 278,5 ქულა. აზერბაიჯანის კოლექტივმა დააგროვა 263,5 ხოლო სომხეთმა — 122 ქულა. სამწუხაროდ, შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია მოლდავეთის რესპუბლიკას. პროგრამაში კი მათი გამოსვლები გათვალისწინებული იყო. შეჯიბრების პროცესში დამყარებულ იქნა საქართველოს ორი რეკორდი. და ამდენივე სომხეთისა და აზერბაიჯანის.

მოგვყავს ტექნიკური შედეგები:

ქალები. 400 მ ნ. კოსარევა (აზერბაიჯანი) — 58,3, 800 მ; ზ. ალექსანდროვა (აზერბაიჯანი) — 2,24,1; სიმაღლე ს. როზანოვა (საქართველო) — 1,55 მ; სიგრძე ნ. დვალიშვილი (საქართველო) — 5,87 მ; შუბი გ. ბრიტვინა (საქართველო) — 43,06 მ; ხუთჭიდი ე ვოსკანიანი (სომხეთი) 3.946 ქულა; ამანათრბენი 4×100 (აზერბაიჯანი) — 49,4.

ვაჟები. 400 მ ნ. კლიუევი (საქართველო) — 50,3; 1.500 პ. კუდრიავცევი (საქართველო)—3.58,2; 5.000 მ ა. ივანოვი (აზერბაიჯანი) — 15.03,0; 10.000 მ. გ. მეშჩერიაკოვი (აზერბაიჯანი) — 32.15,6; 3.000 მ დაბრკოლებებით გ. მეშჩერიაკოვი — 9.34,2; სიმაღლე რ. შავლაყაძე (საქართველო) — 1,95 მ. სამხტომი ა. დემენტიევი (აზერბაიჯანი) — 14,72 მ; ჭოკი ე. პიპინოვი (საქართველო) — 3,90 მ; ბირთვი ზ. სადიხოვი (აზერბაიჯანი)—15,65 მ; ბადრო გ. ჩადუნელი (საქართველო) — 45,23 მ; შუბი ი. წულუკიძე (საქართველო) 60, 80 მ; ურო ს. ნენაშევი (აზერბაიჯანი) — 61,10 მ; ამანათრბენი 4×100 (საქართველო) — 43,1.

ა. არხანგელსკი,
ბაქო, ჩვენი სპეც. კორ.

ფიზიკური ვარჯიში და ასაკი

სპორტული მედიცინა დღეისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად ისახავს შეისწავლოს, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული ფიზიკური ვარჯიშები სხვადასხვა ასაკობრივ პერიოდში. სპეციალური მეთოდიკით შემუშავებული ფიზიკური ვარჯიში შეიძლება წარმოებულ იქნას ჩვილ ბავშვთა შორისაც კი დაახლოებით 3-4 თვის ასაკიდან. ამ პერიოდში პასიური და აქტიური ვარჯიშები მასაჟთან ერთად ერთ-ერთი საუკეთესო სამკურნალო და პროფილაქტიკურ საშუალებად ითვლება რაქიტისა და კვების დარღვევის საწინააღმდეგოდ. ბავშვები, რომლებიც ადრეული ასაკიდან იწყებენ ფიზიკურ ვარჯიშს და ორგანიზმის გამოწრთობას (მზე, ჰაერი, წყალი) საგრძნობლად განსხვავდებიან იმ ბავშვებისაგან, რომლებიც ასეთ ვარჯიშებს არ ატარებენ.

სკოლამდელ ასაკში (1-7 წელი) ფიზიკური ვარჯიშების გამოყენებას თანდათან მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ამ პერიოდში ბავშვის ორგანიზმს ახასიათებს ძვალ-სახსროვანი აპარატისა და კუნთოვანი მასის სუსტი განვითარება. სკოლამდელ ასაკში სტატიკური ხასიათის ფიზიკური ვარჯიშები ბავშვისათვის მეტად დამქანცველია, ამიტომ გაცილებით უკეთესია მივმართოთ თამაშებს როგორც ძირითად მეთოდს.

უმცროს სასკოლო ასაკში (7-12 წელი) აღინიშნება ზრდის შეფერხებასთან ერთად საგრძნობი მომატება წონაში. ამ პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი სუნთქვის გამომუშავებას და ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ხელოვნური და ბუნებრივი ხასიათის სუნთქვითი ვარჯიშების (სუფთა ჰაერზე) გამოყენებას. გარდა ამისა, ამ ხანაში ფიზიკური ვარჯიში უზრუნველყოფს საყრდენ-სამოძრაო აპარატის მხრივ პათოლოგიური გადახრების თავიდან აცილებას (მაგალითად, ხერხემლის სვეტის გამრუდება) და მოზარდთა ორგანიზმისათვის ახოვნების შენარჩუნებას.

საშუალო სასკოლო ასაკში იწყება სქესობრივი მომწიფება. აღინიშნება მეტი მომატება სიგრძეში, ვიდრე სიმაღლეში, საგრძნობლად იცვლება ორგანიზმის ნერვულ-ფსიქიური სფერო. შესამჩნევია მომატებული კუნთური ძალის შეგრძნება, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს მოზარდის მიერ ზედმეტი ფიზიკური დატვირთვის მიღება. ვინაიდან კუნთური სისტემის განვითარებამ შეიძლება შეაფერხოს ძვლების ზრდა სიგრძეში, უნდა ვერიდოთ ძალისმიერი ხასიათის ფიზიკური ვარჯიშების ჭარბად გამოყენებას.

უფროს სასკოლო ასაკში (15-18 წელი) ძირითადად მთავრდება ორგანიზმის ჩამოყალიბება და ახალგაზრდას შეიძლება მეტი ინტენსიობით მიეცეს ფიზიკური დატვირთვა.

ამ ბოლო ხანებში დიდი ყურადღება ეთმობა სპორტულ სპეციალიზაციას ადრეულ ასაკში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს სპეციალიზაცია საჭიროა წარმოებდეს საერთო ფიზიკური მომზადების პარალელურად.

სპეციალურად ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევების საფუძველზე მიზანშეწონილად ითვლება სასკოლო ასაკის მოსწავლეთა შორის მეცადინეობა შემდეგი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: პირველ ჯგფში 11-12 წელი. მეორე ჯგუფში — 13-14 წელი, მესამე ჯგუფში — 15-16 წელი, ხოლო მეოთხე ჯგფში —17-18 წელი.

ვინაიდან 18-19 წლის ასაკში მოსწავლის ფიზიკური განვითარება მჭიდროდ უახლოვდება მოზრდილისას, ამ ასაკში ფიზიკური დატვირთვა შეიძლება მიეცეს მეტი ინტენსიობით.

რაც შეეხება ხნიერ ასაკს, ფიზიკური ვარჯიშებიდან ძირითადად უნდა იქნას გამოყენებული დილის ჰიგიენური ვარჯიში, ხოლო კარგი ფიზიკური მომზადების მქონე პირთათვის სასარგებლო მეცადინეობა ტურიზმში, ალპინიზმში, ველოსპორტში, თხილამურებსა და ნიჩბოსნობაში.

რ. სვანიშვილი,
ექიმი.

სურათზე: სოხუმის პლაჟი.

ფოტო ლ. შოთაძისა.

სპორტული ქრონიკა

სოხუმის პიონერთა სასახლეში ჩატარდა აფხაზეთის პირველობა კრივში. მონაწილეობდნენ სოხუმის, ტყვარჩელის, გუდაუთის, გაგრისა და გალის გუნდები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ გ. მიქაელიანი, ი. ქორჩილავა, გ. მისტაკოპულო, ვ. ლიულიუკინი (ყველა სოხუმიდან), ი. გაბლია (გუდაუთი), ვ. ზაქარაია (ტყვარჩელი), ზ. დანელია (სოხუმი) და ფ. ეფრემაშვილი (გუდაუთი). გუნდური პირველობა მოიპოვეს სოხუმელმა მოკრივეებმა.

ჯ. ანთია

• • •

სტალინირში მოეწყო ზაფხულის სპორტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის წარმატება წილად ხვდა რ. ლოხოვს, ქალთა შორის გაიმარჯვა ლ. ჯიოევმა. 100 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ვ. მატუშენკომ. ფეხბურთელთა შეხვედრებში უძლიერესები აღმოჩნდნენ მესამე და მეხუთე სკოლის კოლექტივები, რომელთა ფინალურ შეხვედრაში გაიმარჯვეს პირველებმა — 3:0.

ა. კრიხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი მოედნებზე

სსრ კავშირის თასზე


1 „მეტალურგი"
2 „სპარტაკი" / უჟგოროდი /
„მეტალურგი" 3 0 (2 2)
3 „ავანგარდი" / ნიკოლაევი /
4 „სპარტაკი" / ვილნიუსი /
„ავანგარდი" 2 0
5 „დაუგავა" / რიგა /
6 „ავანგარდი" / სვერდლოვსკი /
„ავანგარდი" 3.0
„მეტალურგი" 2 1
№ 7
7 „დინამო" / ტალინი /
8 ქ. სტუპინო
„დინამო" 2 1
9 „შრ. რეზერვები" / ლენინგრადი /
10 „ხიმიკი"
„შრ. რეზერვები" 3 0
№ 8 „დინამო" 1:0
11 „კიშჩევიკი"
12 „უროჟაი" / მინსკი /
„კიშჩევიკი" 1 0
13 „შახტიორი"
14 „სპარტაკი"
„სპარტაკი" 2 0
№ 9 „სპარტაკი" 4:1
15 „ოსკ" / ლვოვი /
16 „პიშჩევიკი" / ოდესა /
„ოსკ" 2 0
17 „კოლხოზნიკი" / პოლტავა /
18 ოსკ / კიევი /
„კოლხოზნიკი" 2 1
№ 10 ოსკ 1 0
1 „შახტიორი" / ყარაგანდა /
2 „ნეფტიანიკი" / კრასნოდარი /
„შახტიორი" 3 2
3 „შრ. რეზერვები" / სვერდლოვსკი /
4 ოსკ
ოსკ 3 1
№ 1 „შახტიორი" 2:1
5 „მეტალურგი"
6 „ხიმიკი"
„მეტალურგი" 7 0
7 ქ. ვორონეჟი
8 „შრ. რეზერვები"
ქ. ვორონეჟი 6 1 (1 1)
№ 2 „მეტალურგი" 3 1
9 „კრ. ზნამია" / ივანოვო /
10 „ბურევესტნიკი" / ლენინგრადი /
„კრ. ზნამია" 2 0
11 „ტორპედო" / როსტოვი /
12 „ლოკომოტივი" / სარატოვი /
„ტორპედო" 2 1
№ 3 „კრ. ზნამია" 3 1
13 „ტორპედო" / გორკი /
14 „ნეფტიანიკი" / გროზნო /
„ტორპედო" 4 1
15 „ტორპედო" / სტალინგრადი /
16 „ავანგარდი" / სარატოვი /
„ტორპედო" 3 1
17 „ტორპედო"
18 „ავანგარდი" / ლენინგრადი /
„ტორპედო" 3 1
„ტორპედო" 2 0
№ 4
1 „ლოკომოტივი" / ჩელიაბინსკი /
2 „სპარტაკი" / ფრუნზე /
„ლოკომოტივი" 2:0
3 „უროჟაი"
4 „ლოკომოტივი" / ქუთაისი /
„ლოკომოტივი" 3:0
„ლოკომოტივი" 1:0 (ჩელიაბინსკი)
5 ოსკ / თბილისი /
6 „სპარტაკი" / ერევანი /
ოსკ 3:2
7 ქ. მოლოტოვი
8 „კაირატი" / ალმა-ატა /
„კაირატი" 4:2
„კაირატი" 1 0
№ 5
9 „ნეფტიანიკი" / უფა /
10 „ავანგარდი" / სვერდლოვსკი /
„ავანგარდი" 2 1
11 „ზენიტი" / იჟევსკი /
12 „კოლხოზნიკი"
„ზენიტი" 2 0
„ავანგარდი" 3 1
13 ოსკ / სვერდლოვსკი /
14 „პახტაკორი" / ტაშკენტი /
ოსკ 2 0
15 „დინამო" / კიროვი /
16 „ნეფტიანიკი" / ბაქო /
„დინამო" 2 1
ოსკ 2 1
№ 6
1 № 10 ოსკ / ლვოვი /
2 „სპარტაკი" / მოსკოვი /
3 № 9 „სპარტაკი" / ნალჩიკი? /
4 „კრ. სოვეტოვი" / კუიბიშევი /
5 № 11
6 „ზენიტი" / ლენინგრადი /
7 № 3 „კრ. ზნამია" / ივანოვო /
8 „ტორპედო" / მოსკოვი /
9 № 1 „შახტიორი" / ყარაგანდა /
10 „დინამო" / თბილისი /
11 № 2
12 „დინამო" / მოსკოვი /
13 № 6
14 „ლოკომოტივი" / მოსკოვი /
15 № 5
16 „დინამო" / კიევი /
17 № 8 „დინამო" / ტალინი /
18 „სპარტაკი" / მინსკი /
19 № 7
20 „ბურევესტნიკი" / კიშინიოვი /
21 № 4
22 „შახტიორი" / სტალინო /
23 № 12
24 ცსკ მო / მოსკოვი /

წელს, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში ტარდება მხოლოდ „ა“ და „ბ“ კლასების გუნდებისათვის. საკლუბო კოლექტივებისათვის ცალკე გათამაშდება სპეციალური პრიზი.

რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თასის გათამაშება ოსტატთათვის. აქ კენჭისყრის მიხედვით „ა“ კლასის უძლიერესი გუნდები მოხვდნენ ცხრილის ზედა ნახევარში. ასე, რომ მოსკოვის გუნდები „სპარტაკი“, „დინამო“, „ტორპედო“, თბილისის „დინამო“ და მათთან ერთად „ზენიტი“ (ლენინგრადი) და „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ჯერ კიდევ ფინალამდე. ცხრილის ქვემო ნაწილში მოხვდნენ ცსკ მო, „დინამო“ (კიევი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „შახტიორი“ (სტალინო), „ბურევესტნიკი“ (კიშინიოვი) და „სპარტაკი“ (მინსკი).

თასის გათამაშება წარმოებს ორ ეტაპად. პირველად ერთმანეთს ხვდებიან „ბ“ კლასის გუნდები თავიანთ ზონებში, მათ შორის გამარჯვებულები კენჭისყრით წინასწარ განსაზღვრულ ნომრებად გადიან დასკვნით თამაშებში, სადაც თავიანთ მინდვრებზე მიიღებენ „ა“ კლასის გუნდებს.

დღეისათვის თასის გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

საქართველოს პირველობა

12 მაისს შედგა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

სამტრედიის „ლოკომოტივი“ თბილისში შეხვდა ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს გუნდს. თამაში ჩატარდა მეტად დაძაბულ ბრძოლაში და დამთავრდა უშედეგოდ — 0:0, თუმცა ტრამვაელებს ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა.

გორის „დინამომ“ თავის მოედანზე მიიღო ქობულეთის „კოლმეურნე“. პირველ ტაიმში მასპინძლებმა მიიღეს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება, მაგრამ ვერ გამოიყენეს იგი. შესვენების შემდეგ ინიციატივა „კოლმეურნის“ მხარეს იყო, მაგრამ ანგარიში 0:0 უცვლელი დარჩა მატჩის ბოლომდე.

მარცხი განიცადა თავის მოედანზე ქუთაისის „ტორპედომ“, რომელიც ეთამაშებოდა ლანჩხუთის „კოლმეურნეს“. სტუმრებმა კარგად ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

განვლილი ტურის ცენტრალურ მატჩს წარმოადგენდა შეხვედრა გათამაშების ლიდერებს რუსთავის „ბურევესტნიკსა“ და ბათუმის „დინამოს“ შორის. დასაწყისში მცირე ტერიტორიული უპირატესობა „ბურევესტნიკის“ მხარეს იყო, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. ბურთი არ იქნა გატანილი მეორე ტაიმშიც და მოწინააღმდეგეებმა გათამაშების ცხრილში ჩაიწერეს თითო ქულა ისე, რომ არც ერთ მათგანს გოლი არ გაუტანია.

რუსთავის „მეტალურგმა“ მორიგი მატჩი ჩაატარა სოხუმში ადგილობრივ „დინამოსთან“. სტუმრებმა დიდი მონდომებით, ენერგიულად ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდმა თავის მინდორზე მიიღო ქუთაისის „დინამო“. მე-19 წუთზე თბილისელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, მაგრამ დინამოელებმა ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს, სამაგიეროდ 26 კომ. სახ. რაიონის გუნდმა ორჯერ შეძლო ბურთის გატანა მოწინააღმდეგის კარში და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0.

კარგი თამაში აჩვენა ფოთის „ვოდნიკმა“ მახარაძის „კოლმეურნესთან“ შეხვედრაში. ერთადერთმა ბურთმა, რომელიც ლაზარევმა გაიტანა „კოლმეურნის“ კარში, გადაწყვიტა თამაშის ბედი „ვოდნიკის“ სასარგებლოდ.

• • •

მეორე ჯგუფი

I ზონა. „სპარტაკი“ (საჩხერე)-„შახტიორი“ (ტყიბული) — 2:1, ავტოსატრანსპორტო კანტორა (ბათუმი)-„ბურევესტნიკი“ (ფოთი) — 2:1, ჩოხატაური-სას. სამ. ინსტიტუტი (ქუთაისი — 3.4, „მეტალურგი“ (ჭიათურა)-„სტროიტელი“ (ბათუმი)—2:1.

II ზონა. გუდაუთა-ოჩამჩირე—2:1, „შახტიორი“ (ტყვარჩელი)-„კოლმეურნე“ (ზუგდიდი) — 0:2, ცხაკაია-„კოლმეურნე“ (გალი) — 1:1, ხობი-„სტროიტელი“ (გაგრა) — 2:1.

III ზონა. ყვარელი-ბოლნისი—4:0, ქარელი-ორთქლ. ვაგონშემკ. ქარხანა (თბილისი) — 2:4, „სპარტაკი“ (სტალინირი)-„კოლმეურნე“ (გურჯაანი) — 0:0, „რემბოვი“ (თბილისი)-ახალქალაქი — 4:2.

IV ზონა. წალკა-„სპარტაკი“ (თელავი) — 1:1, კასპი-„ლოკომოტივი“ (გურჯაანი) — 2:1, „სპარტაკი“ (ბორჯომი)-„სტროიტელი“ (რუსთავი)—1:3, „შრ. რეზერვები“ (თბილისი)-„ლოკომოტივი“ (ხაშური) — 3:0.

• • •

მესამე ჯგუფი

I ზონა. წითელწყარო-ლაგოდეხი — 1:1, სიღნაღი-ადიგენი — 2:2, კაჭრეთი-„კოლმეურნე“ (თელავი)—0:2, „კოლმეურნე“ (ჩუმლაყი)-„პიშჩევიკი“ (ყვარელი) — 2:0, ახმეტა-მარნეული — 0:1.

II ზონა. „კოლმეურნე“ (ლაგოდეხი)-„კოლმეურნე“ (გარდაბანი)—3:1, თიანეთი-ასპინძა — 2:1, „კოლმეურნე“ (წითელწყარო)-საბურთალოს აგურის ქარხანა — 2:0, ჯუარი-წყაროზოგდანოვკა — 0:1, მტს-ი (ადიგენი)-დმანისი — 2:1.

III ზონა. ლენინის სახ. შახტი (ტყიბული)-სას. სამ. ტექნიკუმი I —2:1, ლანჩხუთი-„მეტალურგი“ (ჭიათურა) — 4:0, ვანი-„კოლმეურნე“ (მაიაკოვსკი) — 1:0, სას. სამ. ტექნიკუმი (აბაშა)-„მეტალურგი“ (ზესტაფონი)—5:3, „კოლმეურნე“ (ლაითური)-თერჯოლა — 2:0

IV ზონა. „კოლმეურნე“ (წულუკიძე)-გეგეჭკორი — 1:7, სამტრედიაბაშა — 4:2, „კოლმეურნე“ შემოქმედი-ონი — 3:0, ცაგერი-ამბროლაური — 2:2, სას. სამ. ტექნიკუმი II „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) — 3:1, ჩხოროწყუ-წყალტუბო — 1:1, მცხეთა-დუშეთი — 1:0.

• • •

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 მაისისათვის
ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	8	5	2	1	14:6	12
„ტორპედო“	8	5	1	2	13:4	11
„დინამო“ მ.	8	4	3	1	7:4	11
„დინამო“ თბ.	9	5	1	3	12:10	11
„ლოკომოტივი“	8	4	2	2	11:7	10
„სპარტაკი“ მ.	9	4	2	3	11:7	10
ცსკ მო	8	4	1	3	12:10	9
„შახტიორი“	8	3	2	3	5:6	8
„ბურევესტნიკი	9	1	4	4	7:10	6
„ზენიტი“	9	1	3	5	7:18	5
„კრ. სოვეტოვი“	8	1	2	5	3:10	4
„სპარტაკი“ მნ.	8	1	1	6	3:13	3

• • •

ლენინგრადი. 14 მაისი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე შედგა მატჩი პირველობაზე ადგილობრივ „ზენიტსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის.

მატჩი მოიგეს ტორპედოელებმა — 5:1.

• • •

მოსკოვი. 14 მაისი. დედაქალაქის „ლოკომოტივმა“ მიიღო კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“.

მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

• • •

სტალინო. 14 მაისი. ადგილობრივმა „შახტიორმა“ თავის მინდორზე მიიღო კიშინიოვის „ბურევესტნიკი“.

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „შახტიორმა“.

• • •

მინსკი. 14 მაისი. აქ თამაშობდნენ მინსკის „სპარტაკი“ და მოსკოვის „დინამო“.

90 წუთში ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

ჩემპიონობის პრეტენდენტთა შეხვედრა

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა რესპუბლიკური ჩემპიონატი

◆

როდესაც ნაჭყებიამ გაფრინდაშვილს მხედრის მოგება შესთავაზა, ჩემპიონი ღრმად ჩაფიქრდა. ბევრს ეგონა (მათ შორის გამოცდილ პირველთანრიგოსნებსაც კი), რომ მხედრის მოკვლა შეიძლებოდა, მაგრამ გაფრინდაშვილი უკან დაიხია ლაზიერით. ყველამ იკითხა რაშია საქმე. თურმე მხედრის მოგების შემდეგ ოთხ სვლაში შენიღბული გზით ნაჭყებია ლაზიერს იგებდა. კრიტიკულ მომენტში ძალების დაძაბვით გაფრინდაშვილმა თავი აარიდა მახეს. შემდეგ მან უკუაგდო ნაჭყებიას აზარტული შეწირვები და გაიმარჯვა.

ასე როდი მოხდა ბუცხრიკიძე-ხაჭაპურიძის პარტიაში. ლიდერი ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. მან მართალია სწორად შეწირა ფიგურა ორ პაიკში, მაგრამ მას თურმე კომბინაცია არ ჰქონია ღრმად გათვლილი, თორემ დაინახავდა ამ შეწირვის ბუნებრივ გაგრძელებას, რომელიც მას ფიგურას უბრუნებდა. ეს ძვირად დაუჯდა ქუთაისელ მოჭადრაკეს. მან სულ მალე უარესი პოზიცია მიიღო, რომელიც ახლა, თუმცა გადადებულია, მაგრამ უიმედოა.

გურფინკელმა ენდშპილში მტკიცე და მოთმინებითი თამაშით მოუგო გოგიავას.

ძნელია ლიდერების დაწევა, როდესაც ისინი ჯგუფურ მაიწევენ, მაგრამ კაკაბაძე არ ჰკარგავს იმედს ჩაერთოს ჩემპიონობისათვის ბრძოლის შუაგულში. ამაში ლოლოშვილიც დაგვეთანხმება, რომელიც კაკაბაძემ 24 სვლაში „მოკლა“.

დანარჩენი, გარდა ყაიმით დამთავრებულ როოტარე-ტოგონიძის პარტიისა, ლიდერობისათვის ბრძოლაში შედარებით ნაკლებ როლს თამაშობენ. აღსანიშნავია ფანჭველაშვილის პირველი გამარჯვება, რომელმაც მოუგო ტომილინას და [illegible] საუცხოოდ ჩატარებული ენდშპილი ივანოვას წინააღმდეგ, რომელიც მან თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

ბრძოლამ ლიდერობისათვის VII ტურში ზენიტს მიაღწია.

სწრაფად დამთავრდა გურფინკელ-ბუცხრიკიძის პარტია. ქუთაისელმა საჭადრაკო სტრატეგიის კანონების შესაბამისად განავითარა ფიგურები და კარგი მდგომარეობაც მიიღო, მაგრამ დააგვიანდა თავის დროზე როქის გაკეთება. იგი ცენტრში ოპერაციებმა გაიტაცა და ფიგურა დაკარგა. მე-19 სვლაზე ბუცხრიკიძე დანებდა.

ოთხი მხედრის დებიუტში ლაზიერების ნაადრევმა გაცვლამ შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს კაკაბაძე და გაფრინდაშვილი ყაიმისაკენ მიისწრაფოდნენ. მაგრამ ეს მართლაც მოჩვენებითი იყო. ორივე მეტოქე ნამდვილ საჭადრაკო ბრძოლისათვის ემზადებოდა. გაფრინდაშვილმა რამდენიმე პასიური სვლა გააკეთა და მოწინააღმდეგეს ინიციატივის ხელში ჩაგდების საშუალება მისცა. ამიტომ ჩემპიონი იძულებული გახდა დაცვაზე გადასულიყო.

ამასობაში როოტარემ დაამარცხა ფანჭველაშვილი, ხოლო ნაჭყებიამ შამათი გამოუცხადა ტომილინას მეფეს.

პოზიციური წონასწორობის შენარჩუნებისათვის გაფრინდაშვილმა კუში ეტლი დათმო, რაც უდავოდ სწორი გადაწყვეტილება იყო. ამის შემდეგ შექმნილ სიტუაციაში კაკაბაძემ ალბათ ვერ მონახა შემდგომი თამაშის სწორი გეგმა. მხოლოდ გულდასმით ანალიზს შეუძლია გამოარკვიოს კაკაბაძის მიერ ლაზიერის ფრთაზე პაიკებით თამაშის მიზანშეწონილობა. ისე კი ამან კაკაბაძეს არ მისცა გადამწყვეტი უპირატესობა. გაფრინდაშვილი შესანიშნავად ატარებდა პარტიის დასკვნით ნაწილს. იგი ენერგიულად უკუაგდებდა მოწინააღმდეგის ყველა მუქარას. პარტია არ დამთავრებულა. გადადებულ პოზიციაში ყაიმია მოსალოდნელი. ჩაიკოვსკაიამ მოუგო ლოლიშვილს.

ამრიგად, VII ტურის შემდეგ ლიდერობენ ი. გურფინკელი (6,5 ქულა), ნ. გაფრინდაშვილი (5 ქულა და ერთი გადადებული პარტია), ე. კაკაბაძე და გ. ბუცხრიკიძე (4,5 ქულა და თითო გადადებული პარტია), ს. როოტარე (4,5 ქულა).

თ. გიორგაძე

ს. როოტარე.

ლ. ნაჭყებია.

ხ. ივანოვა.

ნ. ფანჭველაშვილი.

გორკში, ვოლგის დაქანებაზე დასასრულს უახლოვდება სათხილამურო ტრამპლინის მშენებლობა, რომლის სიმაღლე 62 მეტრია. შეჯიბრების მონაწილეთა უკეთ მომსახურების მიზნით გათვალისწინებულია აქ აშენდეს ორი სწრაფმავალი ლიფტი და საბაგირო გზა. ტრამპლინზე გაშენდება აგრეთვე მოედანი პარაშუტისტებისათვის.

ტრამპლინის პროექტი შეიმუშავა მოსკოველმა არქიტექტორმა ა. კოლოდნერმა.

* * *

სურათზე: ახალი ტრამპლინის მშენებლობა. წინა პლანზე — პროექტის ავტორი არქიტექტორი ა. კოლონდერი და გეოდეზისტი გ. ბიჩკოვა.

გამგზავრების წინ

... გუნდები მოედანზე გამოვიდნენ ასეთი შემადგენლობით: მეკარე პრუტკოვსკი, მცველები ძარასოვი, ზამიატინი და ნიჟარაძე, ნახევარდაცვაში თამაშობდნენ არსენიანი და გაბარაევი. თავდასხმა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ციმაკურიძე, კარავაევი, კატულინი, ბალავაძე და ბესტაევი. მოითმინეთ, იკითხავს მკითხველი, რომელი გუნდის შესახებაა აქ ლაპარაკი, ან სად თამაშობდნენ ფეხბურთისათვის ეს უცხო გვარები? ჩვენ რასაკვირველია, ვალდებული არ ვართ ვიცოდეთ ფეხბურთის ყოველი გუნდის შემადგენლობა, რადგან მათი რიცხვი მეტად დიდია, მაგრამ დაგვაეჭვა ნაცნობმა გვარებმა და სწორედ ამიტომ დავინტერესდით. თვალი გადავავლეთ მეორე გუნდის შემადგენლობას და აქაც თითქმის ყველა ნაცნობი გვარი შეგვხვდა. მეკარე მჭედლიშვილი, მცველები კანდელაკი, ალბული და კულაევი, ნახევარდაცვა — ვიხრისტიუკი და ყაზაროვი, თავდასხმა მუშეღიანი, ბალაევი, სხირტლაძე, ცალქალამანიძე და კოლესნიკოვი. ორივე გუნდი დაკომპლექტებულია სპორტის ოსტატებით და სპორტის დამსახურებული ოსტატებით. ასეთ საპასუხისმგებლო მატჩს სჭირდება გამოცდილი მსაჯები და პირველხარისხოვანი მოედანი. ორთავე მოთხოვნას აკმაყოფილებდა ლესელიძის სტადიონი, სადაც რამდენიმე თვის წინათ ნამდვილი ფეხბურთელები ვარჯიშობდნენ და თამაშობდნენ.

დღეს კი, ლესელიძის სტადიონს, პრინციპიალური მატჩის ჩასატარებლად ეწვივნენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოჭიდავეები. ბოლოსდაბოლოს უნდა გადაწყვეტილიყო დიდი ხნის დავა — რომელი გუნდია უფრო ძლიერი გოგის თუ ვახტანგის (ასე უწოდეს ამ გუნდებს მათი კაპიტნების სხირტლაძისა და ბალავაძის „პატივსაცემად"). შეხვედრა, რომელიც ალსავსე იყო საინტერესო და დაძაბული სპორტული ბრძოლის პერიპეტიებით მოიგო სხირტლაძის გუნდმა 3:1. გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღოდა პატარა ტანის, მაგრამ მეტად სწრაფ და მოქნილ მეკარეს მჭედლიშვილს, რომელმაც რამდენჯერმე იხსნა გუნდი დამარცხებისაგან. შედარებით სუსტი იყო, მოწინააღმდეგე გუნდის მეკარე პრუტკოვსკი, რომელიც თავის მეტოქეზე 55 კილოგრამით მძიმე იყო. პრუტკოვსკი არ იყო ალბათ კარგ „ფორმაში", რადგან მას მეკარისათვის საკმაოდ უჩვეულო წონა ჰქონდა — 107 კილოგრამი.

დავა თითქოს გადაწყდა, მაგრამ გამარჯვებულმა გუნდმა გამოიჩინა დიდსულოვნება და მოწინააღმდეგეს რევანშის აღების საშუალება მისცა. სამწუხაროდ, რევანში არ შემდგარა, რადგან მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1. სხვათა შორის ბალავაძის გუნდი ამჯერად დამარცხებას გადაურჩა ცალქალამანიძის წყალობით, რომელმაც უკანასკნელ წუთზე ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

მოჭიდავეები საკმაოდ მრავალმხრივი სპორტსმენები ყოფილან, კერძოდ, კარგი მძლეოსნებიც. ეს დამტკიცდა უკვე სოჭის სტადიონზე, სადაც ერთ მშვენიერ დღეს გაიმართა შეჯიბრება მძლეოსნურ ხუთჭიდში. 100 მეტრზე რბენაში თავი ისახელა ცალქალამანიძემ, რომელმაც მანძილი 12,5 დაფარა და ამით დაამტკიცა, რომ იგი ყველაზე სწრაფმავალი მოჭიდავეა. 400 მეტრზე რბენაში, ოლიმპიურმა ჩემპიონმა მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა და წინ გაუშვა ბესტაევი და ბეკმურზოვი. ბირთვის კვრაში ყველა, მძიმე წონის მოჭიდავეების გამარჯვებას ელოდა, მაგრამ პირველ ადგილზე მოულოდნელად აბაევი „გაძვრა" საშუალო წონიდან. სიგრძეზე ხტომა მოიგო სხირტლაძემ, მას რამდენიმე სანტიმეტრით ჩამორჩნენ აბაევი და ცალქალამანიძე. შეჯიბრების უკანასკნელი სახე იყო ღერძზე ძალისმიერი აწევა. აქ კი პირველი სალიმულინი გამოდგა, რომელმაც თავისი ტანი 23-ჯერ დაიმორჩილა. მეორე ადგილზე იყო მჭედლიშვილი, ხოლო მესამეზე არსენიანი...

ეს, რაც შეეხება ვარჯიშსა და გართობას, ახლა საინტერესოა, როგორ გამოიყურებიან საბჭოთა კავშირის საუკეთესო მოჭიდავეები ანკარაში, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის წინ?

თუ ცალქალამანიძემ ფეხბურთის თამაშის დროს მოახერხა 11-მეტრიანი საჯარიმოს გაფუჭება, ჭიდაობაში იგი ასეთ შეცდომას არ უშვებს. საკმარისია მან ოდნავ შესამჩნევი უპირატესობა მოიპოვოს, იმავ წამს იყენებს მას წარმატებით. რა თქმა უნდა ცალქალამანიძე უძლიერესია თავის წონაში, მაგრამ როგორც თვითონ განაცხადა — უკანასკნელ ხანებში მას ძალზე შემოეჩვია მჭედლიშვილი. ახალი წესებით ჭიდაობაში ფრე დასაშვებია და მათი შეხვედრა სამართლიანად შეფასდა როგორც ფრე. შედარებით ადვილად მოუგო ბრძოლა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ახალგაზრდა მამედბეკოვს. უპირატესობა ჰქონდა მჭედლიშვილს კარავაევის წინააღმდეგ ძირითადად ჩოქბჯენში.

ყველასათვის სიურპრიზი გამოდგა მჩატე წონაში ახალგაზრდა თბილისელი მოჭიდავის არსენიანის გამოსვლა. მისი უპირატესობა სხვა დანარჩენ მოჭიდავეებზე იმდენად აშკარაა, რომ უკვე ალარავის ეპარება ეჭვი მის სიძლიერეში. არსენიანმა მეთოდურად და თანმიმდევრულად დამარცხა თავისი წონის ყველა მოჭიდავე — შახოვი, ზამიატინი, ყაზაროვი. საქმე იმშია, რომ თბილისელი, როგორც წესი, აგროვებს ქულებს დგომში, ჩოქბჯენში, მოჭიდავეების ენით რომ ვთქვათ, აბრუნებს ყველას, ვისაც განებავთ და სულ მუდამ აქტიურია უკანასკნელ ორ წუთში. ჭიდაობისათვის კი სხვა არაფერია საჭირო.

დაახლოებით თანაბარი სიძლიერის არიან ქვემსუბუქ წონაში სალიმულინი, მუშეღიანი და ბალაევი. პირველს, რასაკვირველია, უფრო მეტი გამოცდილება აქვს და მაშასადამე, „სპორტული ეშმაკობაც". ბალაევი შეუპოვარი და ჯიუტი მებრძოლია, მაგრამ ჩვენის აზრით ამ წონაში ყველას მაინც მუშეღიანი სჯობია. ეს უკანასკნელი თითქოს აერთიანებს ყველა იმ კარგ თვისებებს და მხარეებს, რაც აქვთ სალიმულინსა და ბალაევს. მსუბუქ წონაში ბესტაევს სერიოზული მეტოქე გამოუჩნდა სინიავსკის სახით, რომელიც არა თუ ჩამოუვარდება, სჯობია კიდეც მას არ არის თავის საუკეთესო ფორმაში გაბარაევი, რომლის ჭიდაობას უკანასკნელ ხანებში დამაჯერებლობა აკლია.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, უკანასკნელ ხანებში შეიცვალა ბრძოლის ფორმულა, როგორც წინათ, დგომში ჭიდაობა გრძელდება ექვს წუთს. თითოეულ თითო წუთი დააკლდა ჩოქბჯენს და ერთიც უკანასკნელ დგომს. ასე, რომ სპორტსმენი ხალიჩაზეა მხოლოდ 12 წუთს. ვის როგორ აწყობს წესების ასეთი შეცვლა არ ვიცით, მაგრამ ერთი კი ცხადია — ბალავაძისათვის იგი ზედგამოჭრილია. ასე ფიქრობს თვითონ ვახტანგიც. ქვესაშუალო წონაში შესანიშნავ სპორტულ ფორმაში არიან მსოფლიო ჩემპიონი ბალავაძე და ახალგაზრდა ოსტატი გურამ გობეჯიშვილი. მათ შორის შეხვედრა სულ მუდამ საინტერესო და დაძაბულია, მაგრამ თქმა არ უნდა ჩემპიონი უფრო ძლიერია. მან საკმაოდ იოლად მოუგო შეხვედრა გობეჯიშვილს, რომელიც თავგანწირვით იცავდა თავს ბალავაძის შეუნელებელი იერიშებისაგან. ქვესაშუალო წონაში არის კიდევ ერთი მოჭიდავე ბეკმურზოვი, რომელსაც არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალა აქვს, მაგრამ ტექნიკით, ტაქტიკით და ჭიდაობის ცოდნით იგი ჯერ კიდევ ჩამორჩება ორივეს.

საშუალო წონაში, თვითონ მოჭიდავეების დამოწმებით ერთი თავით ყველაზე მაღლა დგას სხირტლაძე. მისი ძალა და ენერგია კარგად გამოცადეს აქსიონოვმა და აბაევმა. ვერც ქვემძიმე წონის მოჭიდავეები გრძნობენ თავს არხეინად სხირტლაძესთან ვარჯიშის დროს. შესანიშნავად თითქმის უშეცდომოდ მოქმედებს სხირტლაძე ჩოქბჯენში. მისი საყვარელი ხერხი, რომელიც იწყება ფეხების ჩაგრეხვით, მუდამ მოწინააღმდეგის გადმობრუნებით ან ხიდზე დაყენებით მთავრდება. ქვემძიმე წონაში ორი, თანაბარი სიძლიერის სპორტსმენს კულაევსა და ალბულს გაუთავებელი დავა აქვთ. მართლაც ძნელი გადასაწყვეტია ეს დავა. ალბულის მხარესაა ახალგაზრდული ენერგია და დახვეწილი ტექნიკა, კულაევის მხარეს კი გამოცდილება და ძალა. ბოლოსდაბოლოს რომელი ფაქტორი აღმოჩნდება წამყვანი ამას დრო გვიჩვენებს, ერთი კი ცხადია — ალბული ისეთივე ღირსეული მეტოქეა კულაევის, როგორც კულაევი — ალბულისა.

მძიმე წონის მოჭიდავეებში წარმატების საკითხს ხშირად ისეთი უმნიშვნელო, ძნელად შესამჩნევი უპირატესობა სწყვეტს, რომ მას მხოლოდ მწვრთნელის და მსაჯის გამოცდილი თვალი თუ შეამჩნევს. ძალიან ძნელი სათქმელია ვინ არის მჯობნი, ვთქვათ ვიხრისტიუკი თუ კანდელაკი ან ძარასოვი თუ პრუტკოვსკი. ყველა ისინი თანაბარი სიძლიერისანი არიან.

საბჭოთა მოჭიდავეებს წინ აქვთ მეტად ძნელი და საპასუხისმგებლო შეჯიბრება — მსოფლიო პირველობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ უნდა იბრძოლონ თურქეთის, ირანის, იაპონიის, შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების უძლიერესი მოჭიდავეების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, სოჭში გატარებული დღეები მათთვის მეტად სასარგებლო და საქმიანი სკოლა იყო. სპორტსმენები ამჟამად გაემგზავრნენ თავიანთ სახლებში უკანასკნელი გადამწყვეტი შეხვედრების წინ დასასვენებლად. მალე, სულ მალე კი ისინი ფეხს შეადგამენ ანკარის საჭიდაო სარბიელზე და შეეცდებიან წარმატებით დაიცვან საბჭოთა სპორტის ღირსება.

ნ. გუგუშვილი,

სოჭი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ჭაბუკთა შორის

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამ
ველოს სპორტულ დარბაზ
დღეს გრძელდებოდა თბილისის
ბუკთა პირად-გუნდური პირვე
აკრობატიკაში. ასპარეზობაში მ
წილეობდნენ „შრომითი რეზე
ბის", თბილისის განათლების გ
ფილების, „კრასნოე ზნამიას",
ლისის რკინიგზელთა სახლის ნ
სპორტსმენები — სულ 30-ზე მ
გოგონა და ჭაბუკი.

ორი დღის დაძაბული ბრძ
შემდეგ გუნდური პირველი ად
და დედაქალაქის ჩემპიონის სახ
დაისაკუთრა თბილისის განათლ
განყოფილების გუნდმა. მეორე
გილზე გამოვიდნენ სპორტსაზოგ
ება „შრომითი რეზერვების" წარ
მადგენლები.

პირველთანრიგოსან ვაჟთა შე
ხტომებში გამარჯვება მოიპოვა
უტიეშევმა („შრომითი რეზერვებ
გოგონათა შორის ე. თარხნი
(თბილისის განათლების განყოფი
ბა). მეორე თანრიგის გოგონ
წყვილში ჩემპიონის სახელი მოი
ვეს ნ. ლივარდიმ და ვ. ანისიმო
(„შრომითი რეზერვები"). ვა
წყვილშიაც პირველობა ამავე სა
გადოების წარმომადგენლებს ერგ

შეჯიბრებაში პირველ ადგილ
გამოსულ თბილისის განათლების
ყოფილების გუნდს გადაეცა პირ
ლი ხარისხის დიპლომი, ხოლო პირ
პირველობაში გამარჯვებული სპ
ტსმენები დაჯილდოვდნენ თბილ
ფიზკულტურის კომიტეტის საპა
სიგელებით.

შ. ქირია

სოხუმის ჩემპიონატ

სოხუმში ჩატარდა ქალაქის პირ
ლობა კლასიკურ ჭიდაობაში. სა
ტერესო გამოდგა მსუბუქი წონის მ
ჭიდავეების ვ. ბარციასა („დინამ
და შ. კიკაბიძის („ლოკომოტივ
შეხვედრა. ტაქტიკური უპირატეს
ბის მიუხედავად რკინიგზელმა წაა
ბრძოლა მე-15 წუთზე. მოულოდნე
გამოდგა დინამოელ ზ. ურიდის შ
ხვედრის შედეგი ბურევესტნიკელ
ესებუასთან. მესამე წუთზე გა
მარჯვა პირველმა.

პირველობა ყველა წონაში არ გ
თამაშებულა. სოხუმის ჩემპიონის წ
დება მოიპოვეს პ. ჩულფამ („დინ
მო"), ბ. ზარქუამ („კოლმეურნე
ვ. ბარციამ („დინამო") და ზ. ურ
დიამ („დინამო").

ო. ხანაია

დღეს იწყება

დღეს, „ბურევესტნიკის" სტადიონზე დაიწყება და 22 მაისამდე გაგრძელდება საქართველოს პირველი ჩემპიონატი ხელბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და „ბურევესტნიკის", აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, სამტრედიის, დიდი ჯიხაიშისა და ჩოხატაურის გუნდები, რომლებიც დაყოფილი არიან ორ ჯგუფად. ჯგუფებში გამარჯვებული თითო გუნდი ერთმანეთს შეხვდებიან ფინალში.

16, 17 და 18 მაისს მატჩები ჩატარდება „ბურევესტნიკის" სტადიონზე, შემდეგი შეხვედრები მოეწყობა „დინამოს" სტადიონზე. ჩემპიონატში შერჩეულ საუკეთესო სპორტსმენებისაგან შეიქმნება რესპუბლიკური ნაკრები, რომელიც სათანადო წვრთნის შემდეგ მონაწილეობას მიიღებს საკავშირო ჩემპიონატში. გათამაშება ჩატარდება ვორონეჟში, 28 ივნისს.

შეჯიბრების მთავარი მსაჯია გ. შარაშიძე.

მეოთხე ეტაპში მონაწილეობისათვის

თბილისში, დოსააფის ახალ 100-მეტრიან ტირში ორ დღეს გრძელდებოდა რესპუბლიკური პირველობა ტყვიით სროლაში ძირეულ კოლექტივებს შორის. დებულების თანახმად პირველი ეტაპი მოეწყო ძირეულ კოლექტივებში. რაიონულ პირველობაზე გამარჯვებისათვის გუნდები იბრძოდნენ მეორე ეტაპზე. მესამე ეტაპში — რესპუბლიკურ პირველობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის, სოხუმის თამბაქოს ფაბრიკისა და ბათუმის კოლექტივებმა.

შეჯიბრების პროგრამაში იყო სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან, პისტოლეტიდან და არმიულ შაშხანიდან.

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე სამივე მდგომარეობიდან სროლაში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს თბილისელებმა (ც. პაპიაშვილი, კ. პროზოროვი, გ. ბერელოვი, ლ. კორენჩუკი, რ. მიაგლოვა), რომლებმაც 1.500 შესაძლებლიდან მოაგროვეს 1.190 ქულა. ქუთაისელი მსროლელები გამოვიდნენ მეორე ადგილზე, ბათუმლები — მესამეზე.

პირად პირველობაზე უძლიერესი იყო ქუთაისელი ოლღა ლიპარტელიანი, რომელმაც 262 ქულა (300 შესაძლებლიდან) მოაგროვა.

თბილისელი სპორტსმენები გამარჯვებული გამოვიდნენ არმიულ შაშხანიდან სროლაშიც აქ მათ 500-დან 421 ქულის მოგროვებით კიდევ ერთი პირველი ადგილი მოიპოვეს.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან 25 მეტრზე სროლაში პირველობის ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ თბილისელი და ქუთაისელი მსროლელები. თბილისელებმა შეძლეს 412 ქულის მოგროვება და მოწინააღმდეგის დამარცხება. ამრიგად, მათ მოიპოვეს დასკვნით ეტაპში (საკავშირო პირველობაში) მონაწილეობის უფლება.

პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილები ამ სახეობაში ასე განაწილდა: კ. პროზოროვი — 92 ქულა, ც. პაპიაშვილი — 88 ქულა და ქუთაისელი გ. ბარამბია — 86 ქულა.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის საწარმოების ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ნაწილი არასათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ მასობრივი ღონისძიების ჩატარებას. თავიანთი შეჯიბრებები არ ჩაატარეს გორის ბამბეულის კომბინატში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, მახარაძისა და ზუგდიდის ჩაის ფაბრიკებში, ტყიბულის შახტებსა და სხვა კოლექტივებში.

ო. ევდოშვილი

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებებს — 3-90-34, მორიგისა და გამომშვებს — 3-38-23.
საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 01923